

შემნახველი ანაბრის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

ანაბრის საპროცენტო განაკვეთი

ანაბრის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ცვლადი
 ანაბრის წლიური საპროცენტო განაკვეთი: წლიური __%
 ანაბრის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: მაგ: თუ ყოველი დღის ბოლოს ანაბარზე არსებული ნაშთი შეადგენს 1,000 ერთეულს, ანაბრის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იქნება წლიური: __%.

ფინანსური ხარჯები

ანგარიშის მომსახურების საკომისიო: 0.90 GEL
 თანხის განაღდებას საკომისიო: უნაღდო ანგარიშსწორების წესით ანგარიშზე განთავსებული თანხის გატანის შემთხვევაში: 0.2% GEL, 0.25% (უცხოური ვალუტა).
 ანგარიშის გახსნის საკომისიო: 10 GEL, იმ შემთხვევაში თუ ანაბრის გახსნის დღეს საანაბრო ანგარიშზე განთავსდება 100 ერთეულზე ნაკლები თანხა (ანაბრის ვალუტის შესაბამისად).
 სხვა შემთხვევაში, ანგარიშის გახსნა იქნება უფასო.

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

ანაბრის (დეპოზიტის) მოცულობა: __ (შესაბამისი ვალუტა)
უცხოურ ვალუტაში გახსნილი ანაბრის შემთხვევაში:
 ეროვნულ ვალუტაში მსგავსი პირობების მქონე პროდუქტთან დაკავშირებულ ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ ბანკის ვებგვერდზე www.tbcbank.ge.
 უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს!
 ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს!
 ლარის შესაძლო 15 %-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იქნება წლიური: __%.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ:

თქვენი დეპოზიტი დაზღვეულია „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფარგლებში.

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების (წინამდებარე თავსართში მოცემული პირობების, მათ შორის საპროცენტო განაკვეთის) ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინებით.

მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკში ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე - www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე - +995 322 406406.

შემნახველი ანაზრის ხელშეკრულება

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ბანკი მენაზრეს უხსნის ამ ხელშეკრულების 2.5 პუნქტში მითითებულ ანაზრის ანგარიშს, რომელზედაც მენაზრეს შეეძლება თანხის შეუზღუდავად შეტანა და ჩარიცხვა.

1.2 „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2024 წლის პირველი იანვრიდან, ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში და მიკრობანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 30 000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში და მიკრობანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge.

2. ანაზრის პირობები

2.1 ანაზრის ტიპი:	მოთხოვნამდე ანაზარი („შემნახველი“)
2.2 ანაზრის ვალუტა:	
2.3 საპროცენტო განაკვეთი:	წლიური __%
2.3.1 ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	წლიური __%
2.3.2 ანაზრის საპროცენტო განაკვეთის ტიპი:	ცვლადი
2.4 საპროცენტო სარგებლის დარიცხვის პერიოდულობა:	თვეში ერთხელ, ყოველი კალენდარული თვის ბოლო დღეს
2.5 საანაზრო ანგარიშის ნომერი:	
2.6 ანგარიში, რომელზედაც ჩარიცხვება სარგებელი:	
2.7 თანხის შეტანის და გატანის შესაძლებლობა:	შეუზღუდავი
2.8 მინიმალური მოთხოვნები ანაზრის გახსნისთვის:	0 (შესაბამისი ვალუტა)
2.9 მინიმალური მოთხოვნები საპროცენტო სარგებლის მიღებისთვის:	0 (შესაბამისი ვალუტა)
2.10 ანგარიშის მომსახურების საკომისიო:	0.90 GEL
2.11 თანხის განაღდების საკომისიო:	უნაღდო ანგარიშსწორების წესით ანგარიშზე განთავსებული თანხის გატანის შემთხვევაში: 0.2% GEL, 0.25% (უცხოური ვალუტა)
2.12 ანგარიშის გახსნის საკომისიო:	10 GEL, იმ შემთხვევაში თუ ანაზრის გახსნის დღეს საანაზრო ანგარიშზე განთავსდება 100 ერთეულზე ნაკლები თანხა (ანაზრის ვალუტის შესაბამისად). სხვა შემთხვევაში, ანგარიშის გახსნა იქნება უფასო

3. ანაზარზე სარგებლის დარიცხვის პირობები

3.1 ანაზარს დაერიცხება საპროცენტო სარგებელი ამ ხელშეკრულების 2.3 პუნქტში მითითებული განაკვეთის მიხედვით ამ ხელშეკრულების 5.1.1 ქვეპუნქტში აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

3.2 დარიცხვა დაიწყება საანაზრო ანგარიშზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის განთავსების მომენტიდან.

3.3 საპროცენტო სარგებლის დარიცხვა მოხდება ყოველდღიურად, ხოლო დარიცხული საპროცენტო სარგებლის ასახვა მეანაბრის ანგარიშზე მოხდება ანაბრის ხელშეკრულების შესაბამისად.

4. ანაბრის შეწყვეტის პირობები

4.1 ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ანაბრის ხელშეკრულების მოქმედება და/ან დახუროს საანაბრო ანგარიში მეანაბრის მიერ ბანკთან დადებული ხელშეკრულების დარღვევის, საანაბრო ანგარიშზე 6 (ექვსი) თვის განმავლობაში ნაშთის არ არსებობის და/ან საანაბრო ანგარიშის მემუდობით ოპერაციების განუხორციელებლობის შემთხვევაში (ამ პუნქტის მიზნებისთვის ოპერაციის განხორციელებად არ ჩაითვლება ბანკის მომსახურების საფასურის გადარიცხვა/ჩარიცხვა კლიენტის ანგარიშიდან). ანგარიშის დახურვის შემთხვევაში კლიენტს დაუბრუნდება შესაბამის ანგარიშზე რიცხული თანხა.

5. ხელშეკრულების პირობები

5.1 ეს ხელშეკრულება იმავდროულად წარმოადგენს მეანაბრის განაცხადს საანაბრო და საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიშ(ებ)ის გახსნის შესახებ, რომლის ხელმოწერითაც მეანაბრე ადასტურებს, რომ:

5.1.1 წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს ბანკის ვებგვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (მასში ასახული ყველა ცვლილების და დამატების) განუყოფელ ნაწილს, რომელსაც იცნობს და ეთანხმება;

5.1.2 თანახმაა, სს "თიბისი ბანკმა" კანონმდებლობით დადგენილი წესით, საბანკო მომსახურების ეფექტური და შეუფერხებელი გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, მისი პერსონალური მონაცემები;

5.1.3 ამ ხელშეკრულებას დებს მხოლოდ საკუთარი საჭიროებისთვის და არ მოქმედებს სხვა (მესამე) პირის დავალებით ან სასარგებლოდ, არ აქვს ურთიერთობა ფიქტიურ ბანკთან ("შელ ბანკთან") და ამ ხელშეკრულებაში აღწერილი გარიგება არ არის საექვო, რაც ნიშნავს იმას, რომ ის არ არის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით გაფორმებული და ქონება (მათ შორის, ფულადი სახსრები), რომლის საფუძველზეც დაიდო და/ან შესრულდება ეს გარიგება არ არის მოპოვებული/წარმოშობილი დანაშაულებრივი საქმიანობიდან;

5.1.4 თანახმაა, ბანკმა გაუხსნას საანგარიშსწორებო (მიმდინარე) და/ან მოთხოვნამდე ანაბრის (სადეპოზიტო) ანგარიშ(ებ)ი (ნებისმიერ ვალუტაში), საანაბრო ანგარიშ(ებ)ზე თანხ(ებ)ის შეტანის/ჩარიცხვის და/ან საანაბრო ანგარიშ(ებ)იდან თანხ(ებ)ის გატანის/გადარიცხვის მიზნით;

5.1.5 იმ შემთხვევაში, თუ: ა) ანაბრის ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვლება ისე, რომ იგი შესაძლოა ზარალიანი აღმოჩნდეს ბანკისთვის და/ან საფრთხე შეუქმნას ბანკის ფინანსურ სტაბილურობას; ბ) ანაბრის პირობები (მათ შორის საპროცენტო განაკვეთი) არ/აღარ შეესაბამება ბანკის მიმდინარე პოლიტიკას; გ) განხორციელდება იმგვარი საკანონმდებლო და/ან სხვა სახის ცვლილება, რომელიც აუარესებს ბანკის მდგომარეობას, ბანკი უფლებამოსილი იქნება, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე ცალმხრივად შეცვალოს (შეამციროს) წინამდებარეს ანაბრის საპროცენტო განაკვეთი და/ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტის/მომსახურების ნებისმიერი პირობა. ამგვარი ცვლილებ(ებ)ის შესახებ, ბანკი მეანაბრის ინფორმირებას უზრუნველყოფს ცვლილებამდე 2 (ორი) თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით, ხოლო თუ იცვლება ანაბართან დაკავშირებული სხვა „საფინანსო პროდუქტის“ ფასი, ამგვარი ცვლილების შესახებ მეანაბრის ინფორმირება განხორციელდება ცვლილებამდე 1 (ერთი) თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით;

5.1.6 თანახმაა, ბანკმა არ მიაწოდოს ინფორმაცია მეანაბრისთვის სასარგებლო ცვლილებების შესახებ.

5.2 ბანკს უფლება აქვს კლიენტისთვის შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალება (მათ შორის ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო და სხვა).

5.3 მეანაბრის მიერ ბანკთან დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია შეწყვიტოს მეანაბრესთან გაფორმებული წინამდებარე ხელშეკრულება.

5.4 კლიენტს (მომხმარებელს) უფლება აქვს ბანკს მიმართოს პრეტენზიით ზეპირი, წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. პრეტენზიის ზეპირი ფორმით დასაფიქსირებლად მომხმარებელს შეუძლია მიმართოს სს „თიბისი ბანკის“ სატელეფონო სერვისცენტრს +995 322 272727. პრეტენზიის სტანდარტული წერილობითი ფორმის მიღება შესაძლებელია ბანკის ფილიალებსა და სერვისცენტრებში. ელექტრონული ფორმით პრეტენზიის დაფიქსირება შესაძლებელია ინტერნეტბანკის ან ბანკის ვებგვერდის (www.tbcbank.ge) საშუალებით. კლიენტის მიერ დაფიქსირებული პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა, განმცხადებლის მომართვისა და იდენტიფიკაციიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვე. პრეტენზიებს განიხილავს სს „თიბისი ბანკის“ მომხმარებელთა მხარდაჭერის განყოფილება. პრეტენზიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, კლიენტს ეცნობება წერილობით და/ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით (ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო ან სხვა). პრეტენზიის განხილვის მიმდინარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ნებისმიერ ფილიალში/სერვისცენტრში და/ან დისტანციური არხების საშუალებით.

ხელშეკრულების 5.5 პუნქტი გათვალისწინებულია უცხოური ვალუტის ანაზრის შემთხვევაში:

5.5 ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იქნება წლიური __%.

5.6 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის არსებული დავა განიხილება და გადაწყდება, მხარეთა შორის გაფორმებული „საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ“ ხელშეკრულების პირობების თანახმად.

ხელშეკრულების 5.7 პუნქტი ვრცელდება მხოლოდ დისტანციური არხით (მათ შორის ინტერნეტ/მობაილ ბანკი, სატელეფონო სერვის ცენტრი, სმს ბმული) დადებულ ანაზრის ხელშეკრულებაზე:

5.7 მეანაზრეს არ აქვს უფლება უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის და/ან საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის“ მიხედვით.